საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/2850
02/07/2025

2850-01-2-202507021705

ი/მ თათია ჯანაშიას (ს/ნ: 39001032165)

მის.: ქ. თბილისი, ისანი, ლობჟანიძის ქ. N3;

მის.: ქ. თბილისი, პოლიციის ქ. N14;

მის.: ქ. სენაკი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა N39, ბინა 32 (ყოფ. ლენინის ქ.)

ტელ.: 599 99 55 41

ელ. ფოსტა: roomgeorgianbrend@gmail.com;

roomcustomerservice@gmail.com

მოგახსენებთ, რომ სსიპ-საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 25 აპრილის N 04/415 ბრძანებით, „მოქალაქე განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) მიმდინარეობს საქმის შესწავლა მოვაჭრის - ი/მ თათია ჯანაშიას (ს/ნ: 39001032165) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“(შემდგომში - პროცედურა) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად გაცნობებთ, რომ 2025 წლის 25 აპრილის N 04/415 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო მოქალაქე 2025 წლის 30 ივნისის N01/3843 განცხადება.

დანართის სახით გიგზავნით სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 25 აპრილის N 04/415 ბრძანებასა და საქმის მასალებს და გთხოვთ, პროცედურის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქმის შესწავლის მიზნით, წერილის ჩაბარებიდან **5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში** წარმოადგინოთ, თქვენი პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით, აგრეთვე სააგენტოს 2025 წლის 25 აპრილის N 02/1982 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია.

დანართი: 25 გვერდი

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი